

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22/27

2019 წლის 30 ოქტომბერი

ქ. ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №24/40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 აგვისტოს №1868 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №24/40 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 27.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.111.016407) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1.**

ა) განისაზღვროს:

ა.ა) შემოსულობები 22 510.8 ათ. ლარით;

ა.ბ) გადასახდელელები 26 688.6 ათ. ლარით;

ა.გ) გრანტები 6 227.3 ათ. ლარით;

ა.გ.ა) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები 33.0 ათ. ლარით;

ა.გ.ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 6 194.3 ათ. ლარით;

ა.გ.ბ.ა) მიზნობრივი ტრანსფერი 260.0 ათ. ლარით;

ა.გ.ბ.ბ) ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები 5 934.3 ათ. ლარით;

ა.დ) სარეზერვო ფონდი 150.0 ათ. ლარით.“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

ბ.ა) პირველი, მე-2 და მე-3 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

2017 წლის ფაქტი

2018 წლის ფაქტი

2019 წლის გეგმა



დასახელება	მათ შორის			სულ	მათ შორის			სულ	მათ შორის		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	18,984.6	3,947.9	15,036.7	19,535.7	4,266.4	15,269.3	22,210.8	5,934.3	16,276.5		
გადასახადები	11,101.7	0.0	11,101.7	10,570.2	0.0	10,570.2	12,698.5	0.0	12,698.5		
გრანტები	4,194.8	3,947.9	246.9	5,633.1	4,266.4	1,366.7	6,227.3	5,934.3	293.0		
სხვა შემოსავლები	3,688.1	0.0	3,688.1	3,332.4	0.0	3,332.4	3,285.0	0.0	3,285.0		
ხარჯები	14,156.6	943.5	13,213.1	13,954.7	237.3	13,717.4	19,021.6	3,894.5	15,127.1		
შრომის ანაზღაურება	2,427.8	0.0	2,427.8	2,698.8	0.0	2,698.8	2,851.7	0.0	2,851.7		
საქონელი და მომსახურება	3,818.7	0.0	3,818.7	1,815.3	0.0	1,815.3	3,740.7	1,459.8	2,280.9		
პროცენტი	52.5	0.0	52.5	86.8	0.0	86.8	48.5	0.0	48.5		
სუბსიდიები	5,068.9	0.0	5,068.9	7,983.0	0.0	7,983.0	8,230.3	0.0	8,230.3		
გრანტები	0.0	0.0	0.0	25.0	0.0	25.0	65.0	0.0	65.0		
სოციალური უზრუნველყოფა	1,050.5	0.0	1,050.5	898.6	0.0	898.6	950.5	0.0	950.5		
სხვა ხარჯები	1,738.2	943.5	794.7	447.2	237.3	209.9	3,134.9	2,434.7	700.2		
საოპერაციო სალდო	4,828.0	3,004.4	1,823.6	5,581.0	4,029.1	1,551.9	3,189.2	2,039.8	1,149.4		
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,223.3	2,733.1	1,490.2	2,291.9	1,950.0	341.9	7,200.1	4,903.7	2,296.4		
ზრდა	4,408.1	2,733.1	1,675.0	2,944.7	1,950.0	994.7	7,500.1	4,903.7	2,596.4		
კლება	184.8	0.0	184.8	652.8	0.0	652.8	300.0	0.0	300.0		
მთლიანი სალდო	604.7	271.3	333.4	3,289.1	2,079.1	1,210.0	-4,010.9	-2,863.9	-1,147.0		
ფინანსური აქტივების ცვლილება	314.7	271.3	43.4	3,146.9	2,079.1	1,067.8	-4,177.8	-2,863.9	-1,313.9		
ზრდა	1,205.2	939.6	265.6	4,352.1	3,018.7	1,333.4	0.0	0.0	0.0		
ვალუტა და დეპოზიტები	1,205.2	939.6	265.6	4,352.1	3,018.7	1,333.4	0.0				
კლება	890.5	668.3	222.2	1,205.2	939.6	265.6	4,177.8	2,863.9	1,313.9		
ვალუტა და დეპოზიტები	890.5	668.3	222.2	1,205.2	939.6	265.6	4,177.8	2,863.9	1,313.9		
ვალდებულებების ცვლილება	-290.0	0.0	-290.0	-142.2	0.0	-142.2	-166.9	0.0	-166.9		



კლება	290.0	0.0	290.0	142.2	0.0	142.2	166.9	0.0	166.9
საშინაო	290.0	0.0	290.0	142.2	0.0	142.2	166.9	0.0	166.9
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

**მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	19,169.4	3,947.9	15,221.5	20,188.5	4,266.4	15,922.1	22,510.8	5,934.3	16,576.5
შემოსავლები	18,984.6	3,947.9	15,036.7	19,535.7	4,266.4	15,269.3	22,210.8	5,934.3	16,276.5
არაფინანსური აქტივების კლება	184.8		184.8	652.8		652.8	300.0		300.0
ვალდებულებების ზრდა	0.0			0.0			0.0		
გადასახდელები	18,854.7	3,676.6	15,178.1	17,041.6	2,187.3	14,854.3	26,688.6	8,798.2	17,890.4
ხარჯები	14,156.6	943.5	13,213.1	13,954.7	237.3	13,717.4	19,021.6	3,894.5	15,127.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,408.1	2,733.1	1,675.0	2,944.7	1,950.0	994.7	7,500.1	4,903.7	2,596.4
ვალდებულებების კლება	290.0		290.0	142.2		142.2	166.9		166.9
ნაშთის ცვლილება	314.7	271.3	43.4	3,146.9	2,079.1	1,067.8	-4,177.8	-2,863.9	-1,313.9

**მუხლი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 22 210.8 ათ. ლარის ოდენობით.

	2017 წლის ფაქტი		2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა	
	მათ შორის		მათ შორის		მათ შორის	



დასახელება	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
		საკუთარი შემოსავლები	საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	18,984.6	3,947.9	15,036.7	19,535.7	4,266.4	15,269.3	22,210.8	5,934.3	16,276.5
გადასახადები	11,101.7	0.0	11,101.7	10,570.2	0.0	10,570.2	12,698.5	0.0	12,698.5
გრანტები	4,194.8	3,947.9	246.9	5,633.1	4,266.4	1,366.7	6,227.3	5,934.3	293.0
სხვა შემოსავლები	3,688.1	0.0	3,688.1	3,332.4	0.0	3,332.4	3,285.0	0.0	3,285.0

ბ.ბ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6 227.3 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
გრანტები	4,194.8	5,633.1	6,227.3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	33.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4,194.8	5,633.1	6,194.3
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	246.9	1,366.7	260.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	1,118.8	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	246.9	247.9	260.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3,947.9	4,266.4	5,934.3

ბ.გ) მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 7. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 19 021.6 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი



	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები			
ხარჯები	14,156.6	943.5	13,213.1	13,954.7	237.3	13,717.4	19,021.6	3,894.5	15,127.1
შრომის ანაზღაურება	2,427.8	0.0	2,427.8	2,698.8	0.0	2,698.8	2,851.7	0.0	2,851.7
საქონელი და მომსახურება	3,818.7	0.0	3,818.7	1,815.3	0.0	1,815.3	3,740.7	1,459.8	2,280.9
პროცენტი	52.5	0.0	52.5	86.8	0.0	86.8	48.5	0.0	48.5
სუბსიდიები	5,068.9	0.0	5,068.9	7,983.0	0.0	7,983.0	8,230.3	0.0	8,230.3
გრანტები	0.0	0.0	0.0	25.0	0.0	25.0	65.0	0.0	65.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,050.5	0.0	1,050.5	898.6	0.0	898.6	950.5	0.0	950.5
სხვა ხარჯები	1,738.2	943.5	794.7	447.2	237.3	209.9	3,134.9	2,434.7	700.2

### მუხლი 8. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 7 200.1 ათ. ლარის ოდენობით. მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7 500.1 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 408,1	2 944,7	7 500,1
ძირითადი აქტივები	4 408,1	2 944,7	7 500,1

ბ) განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 300.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	184,8	652,8	300,0
ძირითადი აქტივები	0,5	17,5	100,0
არაწარმოებული აქტივები	184,3	635,3	200,0
მიწა	184,3	635,3	200,0

### მუხლი 9. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის



## ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3,379.4	3,695.0	4,262.3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,324.5	3,608.2	4,193.8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,324.5	3,608.2	4,043.8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	150.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	52.5	86.8	68.5
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	2.4	0.0	0.0
702	თავდაცვა	96.8	93.3	111.4
704	ეკონომიკური საქმიანობა	430.1	486.3	1,596.9
7045	ტრანსპორტი	430.1	486.3	1,596.9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	430.1	486.3	1,596.9
705	გარემოს დაცვა	2,568.9	233.5	1,586.2
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1,001.5	13.4	0.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1,567.4	220.1	87.2
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0.0	0.0	1,499.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3,817.8	5,036.1	9,607.1
7061	ბინათმშენებლობა	945.7	224.8	1,993.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1,725.9	1,479.6	3,093.1
7064	გარე განათება	962.4	696.8	1,574.4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	183.8	2,634.9	2,946.6
707	ჯანმრთელობის დაცვა	623.0	623.4	615.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	143.9	165.0	165.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	479.1	458.4	450.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4,375.8	2,857.5	3,796.3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3,207.6	1,576.1	1,799.2
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	947.5	945.6	1,794.2



7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	61.1	165.0	90.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	159.6	170.8	112.9
709	განათლება	2,173.9	2,643.5	3,681.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,173.9	2,643.5	3,085.6
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.0	0.0	595.9
710	სოციალური დაცვა	1,099.0	1,230.8	1,265.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	454.7	456.5	491.2
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	184.9	11.6	0.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	459.4	762.7	773.8
	სულ	18,564.7	16,899.4	26,521.7

**მუხლი 10. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 4 010.9 ათ. ლარის ოდენობით.“;

**ბ.დ) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 12. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება – 166.9 ათ. ლარის ოდენობით.

2. მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებისათვის „ქ. ფოთში რუხადის, ვაჟა-ფშაველას, გორგასლის ქუჩების რეაბილიტაცია“ (2009 წ.), „ქალაქ ფოთში ჭავჭავაძის ქუჩის (ინდუსტრიულ ზონასთან დამაკავშირებელი გზა), ჭავჭავაძის ჩიხის და მდინარე რიონის გასწვრივ (ბაზრის მიმდებარე ტერიტორია) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია“ (2011 წ.), „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტი“ (2 ცალი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა და 100 ცალი ნარჩენების კონტეინერი) (2017 წ.) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრედიტო ვალდებულებები (კრედიტების ძირითადი თანხა) მუნიციპალური განვითარების ფონდისადმი 2019 წელს შეადგენს 166.9 ათ. ლარს.“;

**ბ.ე) მე-16 მუხლის პირველი პუნქტი და 1.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„ 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. ამიტომ აღნიშნული მიმართულება ქალაქის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ასევე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გარდა, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. კერძოდ: ლარნაკას ქუჩის ჩიხის მოხრეშვა-დაგრიდერების, თამარ მეფის, ბერდიანსკის და დ.თავდადებულის ქუჩების



სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირების, 26 მაისის, წმ. ნინოს, ლოლუას ქუჩებისა და ბესიკის ქუჩასთან შემაერთებული ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირების, საგზაო ნიშნების შექმნა-მონტაჟის და ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნის, ქალაქ ფოთში ცენტრალური ქუჩის ტროტუარის (კოსტავას ქუჩის ნაწილის) კეთილმოწყობის, საავტომობილო გზების სამშენებლო, სარეაბილიტაციო, ნაპირდაცვის, სახიდე გადასასვლელების სამშენებლო, სარეაბილიტაციო ობიექტებისა და სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დაკავშირებული სამუშაოების, ქუჩების რეაბილიტაციის პროექტირება-ექსპერტიზის, მრავალბინიანი ს/სახლების ლიფტების მოვლა-პატრონობის, მრავალბინიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაციის, მრავალბინიანი ს/სახლების სახურავების კაპ. რემონტის, სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაციის, აღმამშენებლის ქუჩაზე №14, №16, №21 ს/სახლების ექსპერტიზის, აღმამშენებლის ქუჩაზე №14, №16, №21 ს/სახლების სახურავების კაპ. შეკეთებისა და კედლებიდან ფილების დემონტაჟის სამუშაოების პროექტირება-ექსპერტიზის, გარე განათების ქსელის ლედ სანათებით ჩანაცვლების, გარე განათების ქსელისა და სატუმბო სადგურების ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურების, აბესალომ ვეკუას ქუჩაზე ახალი სატუმბო სადგურის მშენებლობის პროექტირების და არსებულის შემდგომი დემონტაჟის, მაწანწალა ძაღლების იზოლირების, მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობის, მალთაყვის სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის, ბარათაშვილის ქუჩიდან ყოფილი ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი და მალთაყვის სანაპირო ზოლის (ბულვარის) შემაერთებული გზის მოწყობის, კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის პროექტირების, კუნძულის უბნის სანაპირო ზოლისა და მისასვლელი გზების რეაბილიტაციის, ცენტრალური კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობის პროექტირების, მდინარე კაპარჭის გაწმენდის, პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენის, უპოვართა სასადილოს დამხმარე სათავსოს კაპიტალური შეკეთების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პანდუსების მოწყობის, გეგმის ქუჩაზე მდებარე ყოფილი პოლიციის შენობის მიმდინარე რემონტის პროექტირება-ექსპერტიზის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეთა მოსაცდელების მოწყობის პროექტირება-ექსპერტიზის, ავტობუსების ავტოპარკის მშენებლობის პროექტირება-ექსპერტიზის, საბავშვო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების მოწყობისა და ატრაქციონების და ტრენაჟორების შექმნა-მონტაჟის, წმ. გიორგის ქ. №24-ში მდებარე ყოფილი ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაციის (შემდგომში უმაღლესი სასწავლებელი) პროექტირების, მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში მერის რწმუნებულების ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციის პროექტირების, დიდების მემორიალის რეაბილიტაციის პროექტირების, სახელმწიფო დროშების შექმნის, საახალწლო ქალაქგაფორმებისათვის ინვენტარის შექმნის, გამწვანების და სხვა სამუშაოები.

### 1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 03 01)

ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, განხორციელდება ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციის, საგზაო ნიშნების შექმნა-მონტაჟის და ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნის, ცენტრალური ქუჩის ტროტუარის (კოსტავას ქუჩის ნაწილის) კეთილმოწყობის, ბარათაშვილის ქუჩიდან ყოფილი ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი და მალთაყვის სანაპირო ზოლის (ბულვარის) შემაერთებული გზის მოწყობის, ლარნაკას ქუჩის ჩიხის მოხრეშვა-დაგრეიდერების, თამარ მეფის, ბერდიანსკის და დ.თავდადებულის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირების, 26 მაისის, წმ. ნინოს, ლოლუას ქუჩებისა და ბესიკის ქუჩასთან შემაერთებული ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირების, ქუჩების რეაბილიტაციის პროექტირება-ექსპერტიზის სამუშაოები. ასევე, დაფინანსდება საავტომობილო გზების სამშენებლო, სარეაბილიტაციო, ნაპირდაცვის, სახიდე გადასასვლელების სამშენებლო, სარეაბილიტაციო ობიექტებისა და სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოები და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დაკავშირებული სამუშაოები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.





შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.“;

**ბ.ვ) მე-16 მუხლის 1.3 და 1.3.1 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„1.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პანდუსების მოწყობის, უპოვართა სასადილოს დამხმარე სათავსოს კაპიტალური შეკეთების, მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობის, მალთაყვის სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის, კუნძულის უბნის სანაპირო ზოლისა და მისასვლელი გზების რეაბილიტაციის, საბავშვო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების მოწყობისა და ატრაქციონების და ტრენაჟორების შექმნა-მონტაჟის სამუშაოები, გამწვანების სამუშაოები და სხვა ღონისძიებები.

**1.3.1 კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 01)**

პროგრამის შესაბამისად, 2019 წელს განხორციელდება ქალაქის მოსახლეობისათვის საახალწლო-სადღესასწაულო განწყობის შექმნის მიზნით ინვენტარის შექმნა და ქუჩების მორთვა სხვადასხვა სადღესასწაულო აქსესუარებით. ასევე განხორციელდება სადღესასწაულო აქსესუარების დემონტაჟის, შენახვა-დასაწყობების, სახელმწიფო დროშების შექმნის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პანდუსების მოწყობის, უპოვართა სასადილოს დამხმარე სათავსოს კაპიტალური შეკეთების, მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობის, მალთაყვის სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის, კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის პროექტირების, კუნძულის უბნის სანაპირო ზოლისა და მისასვლელი გზების რეაბილიტაციის, ცენტრალური კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობის პროექტირების, წმ. გიორგის ქ. N24-ში მდებარე ყოფილი ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაციის (შემდგომში უმაღლესი სასწავლებელი) პროექტირების, მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში მერის რწმუნებულების ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციის პროექტირების, დიდების მემორიალის რეაბილიტაციის პროექტირების, გეგმის ქუჩაზე მდებარე ყოფილი პოლიციის შენობის მიმდინარე რემონტის პროექტირება-ექსპერტიზის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეთა მოსაცდელების მოწყობის პროექტირება-ექსპერტიზის, ავტობუსების ავტოპარკის მშენებლობის პროექტირება-ექსპერტიზის, საბავშვო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების მოწყობისა და ატრაქციონების და ტრენაჟორების შექმნა-მონტაჟის სამუშაოები.“;

**ბ.ზ) მე-16 მუხლს დაემატოს 1.3.2 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„ 1.3.2 ქალაქის გამწვანება (პროგრამული კოდი 03 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასაბურვე მეურნეობის მოწყობა დეკორატიული ნერგების, ჩითილებისა და სათესი მასალების გამოსაყვანად, რათა მოხდეს ქალაქის ქუჩებში, პარკებსა და სკვერებში სხვადასხვა ხე-მცენარეების, ასევე ერთწლიანი და მრავალწლიანი ყვავილების დარგვა.

*მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:*

- ქალაქის იერსახის გაუმჯობესება;
- მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება.

*შედეგების შეფასების ინდიკატორი:*

- რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა.“;

**ბ.თ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს 2.1.4<sup>1</sup> ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**



**„2.1.4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 01 07)**

პროგრამის ძირითადი არსია ქალაქში სპორტის შემდგომი განვითარება, ქალაქის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, საერთაშორისო ტურნირები), სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა, „სპორტი ყველასათვის“ პროექტების რეალიზაცია, ქალაქის ნაკრები გუნდების წევრებისათვის მაღალი დონის სასწავლო და საწვრთნელი პირობების შექმნა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება და ანტიდოპინგური ღონისძიებების განხორციელება, სპორტული ობიექტებით, სპორტული ფორმითა და ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტსმენთა ტრანსპორტით მომსახურება, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, ადგილობრივი ტურნირების და პირველობების ორგანიზება და ჯანსაღი მომავალი თაობის ჩამოყალიბება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ქმნის ქალაქის ტურისტული შესაძლებლობების საინფორმაციო ბანკს, მუდმივად ახდენს სრულყოფასა და განახლებას. თანამშრომლობს სხვადასხვა ტურისტულ ცენტრებთან, რათა ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით მოხდეს საქართველოში ტურიზმის განვითარება და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა საერთაშორისო დონეზე.“;

**ბ.ი) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის 2.2.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„2.2.1. სახელოვნებო სკოლები (სასწავლებლები) (პროგრამული კოდი 05 02 01)**

ქალაქი აფინანსებს ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელს“ და ა(ა)იპ „არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელს, რომლის მიზანია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებისათვის თანაბარი პირობების შექმნა, მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების შესწავლა, სამხატვრო და ნატიფი ხელოვნების პროფესიების სწავლება, კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა.“;

**ბ.კ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს 2.2.1.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„2.2.1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი“ (პროგრამული კოდი 05 02 01 01)**

პროგრამის მიზანია ქალაქში სახელოვნებო სამხატვრო განათლების ხელშეწყობა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ანიმაციის განვითარების, მინაჩრის, ხალხური რეწვის დარგების (კერამიკა, ხის მხატვრული დამუშავება, მხატვრული ქსოვა (ხალიჩა, ფარდაგი, გობელინი) ტანსაცმლის მხატვრული დამუშავება (მოდელირება)) აღდგენა-შენარჩუნება, სამხატვრო განათლების განვითარებასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება, მოსწავლეთათვის შესაბამისი სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდება, სამხატვრო და ნატიფი ხელოვნების პროფესიების სწავლება და წვლილის შეტანა ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და აღორძინებაში ხალხური რეწვის სწავლის მიზნით, მოსწავლეთა კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა.“;

**ბ.ლ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს 2.2.1.2 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„2.2.1.2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი“ (პროგრამული კოდი 05 02 01 02)**

ქვეპროგრამის მიზანია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, კონკურსებში და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით,



განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა.“;

**ბ.მ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს 2.2.3<sup>1</sup> ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„2.2.3<sup>1</sup> არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი“ (პროგრამული კოდი 05 02 04)**

პროგრამა ხელს უწყობს ქალაქში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას, მოსახლეობის ესთეტიკურ აღზრდას. უზრუნველყოფს ადამიანის მრავალფეროვანი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ხელშეწყობას, გამოფენების, გამოფენა-გაყიდვების, აუქციონების, კონკურსების, პერსონალური გამოფენების და შემოქმედებითი შეხვედრების ორგანიზებას და მოწყობას.“;

**ბ.ნ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს 2.2.5<sup>1</sup> ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„2.2.5<sup>1</sup> არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 02 08)**

პროგრამა ემსახურება ხალხური შემოქმედების (ზეპირსიტყვიერი და მუსიკალური) ჟანრის განვითარებას, ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენას და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობას, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა გაერთიანებების, მოყვარულთა თეატრების, საერთო შემეცნებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას.“;

**ბ.ო) მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი, 3.1 და 3.2 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

მიმდინარე წელს ასევე განხორციელდება საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით დიდი ყურადღება დაეთმობა ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენას და მათი შემოქმედებითი უნარის ზრდის ხელშეწყობას.

**3.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 04 01)**

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა.

**3.2 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 03)**



ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წელს დაგეგმილია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების კაპ. შეკეთების სამუშაოები, გაზიფიცირების სამუშაოები, ჭავჭავაძის ქუჩის №154-ში მდებარე №14 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ეზოს კეთილმოწყობის პროექტირება-ექსპერტიზის სამუშაოები. ასევე განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სახურავების კაპ. შეკეთების სამუშაოები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- აღსაზრდელთა რაოდენობა.“

**ბ.კ) მე-16 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს 3.5 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„3.5 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი“ (პროგრამული კოდი 04 02)**

აღნიშნული პროგრამა ემსახურება ქალაქში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას, მოსწავლეთა ტექნიკური, საბუნებისმეტყველო, ეკოლოგიური, მხატვრული და ესთეტიკური კუთხით განვითარებას, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და სწავლებას, ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენასა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობას, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა თეატრების, საერთო-შემეცნებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, საგნობრივი წრეების შექმნას, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას.“;

**ბ.ე) მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის 4.2.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„4.2.1 მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობა (პროგრამული კოდი 06 02 01)**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას, სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის ხარჯების, ძვირადღირებული ოპერაციების და ძვირადღირებული გამოკვლევების თანადაფინანსებას.

**განცხადების წარდგენა**

დახმარების მიღების მიზნით მოქალაქემ განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) მკურნალი ექიმის მიერ შევსებული ფორმა № IV-100/ა - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

ბ) სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ინვოისი/ანგარიშფაქტურა;

გ) სამედიცინო მომსახურების ღირებულების კალკულაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) დასაფინანსებელ მომსახურებაზე სახელმწიფო პროგრამების ან/და კერძო დაზღვევის ფარგლებში გაცემული მიმართვის/დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (თუ მოქალაქის სარეიტინგო ქულა 70 000 -ს არ აღემატება);



ვ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ზ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მითითებით);

თ) მოქალაქესა და სამედიცინო დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულება და/ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება მოქალაქის დავალიანება სამედიცინო დაწესებულების წინაშე (აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც განმცხადებელს მერიაში მომართვამდე, არაუმეტეს 3 თვემდე, უკვე გაეწია სამედიცინო მომსახურება).

### **გადაწყვეტილების მიღება დახმარების გაცემის წესი**

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა მოხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურთან არსებული „მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის“ პროგრამის განმახორციელებელი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ კვირაში ერთხელ, სამშაბათ დღეს (უქმე დღის შემთხვევაში მომდევნო დღეს).

